92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №5 (7152) 2 მარტი 2026 წელი

23 თებერვალი ქართველ იუნკერთა ხსოვნის დღეა!

საქართველოში ეს დღე აღინიშნება 1921 წლის 23 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლაში დაღუპულ იუნკერთა პატივსაცემად.

23 თებერვალს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე, სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, პატივი მიაგო ქართველ იუნკერთა ხსოვნას. მათ გვირგვინით შეამკეს გმირთა მემორიალი.

თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის სასულიერო პირებმა გადაიხადეს იუნკერთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

იქვე, თერჯოლის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა იუნკერთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტები, კერძო სკოლა „მზეკაბანის “ მოსწავლეები, ფოლკლორული ანსამბლები: „იმერეთი“, „მასპინძელო“ და „იმედი“ მონაწილეობდნენ.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების, ა(ა)იპების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბოდიშს ვიხდით!

ბოდიშს ვიხდით ბ. ბ. ბ. ბ. ... ...

„დედის ლოცვა“

1☜

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩხარელ დედებს, ქალბატონებს ამ დიდებული ძეგლის „დედის ლოცვის“ მათ წიაღში დავანებას და „კეთილი შურით“, თუ შეიძლება ასე ითქვას გვშურს კიდევაც, რომ მათ ყოველდღე და განსაკუთრებით დედის დღესა და ქალთა დღესასწაულებზე შეუძლიათ მიეახლონ, შეიკრიბონ, ურთიერთს მიულოცონ, თუნდაც თითო ყვავილით მიესათუთ-მიეალერსონ, პატივი მიაგონ წასული დედის ღვაწლსა და ერთგულებას, დღევანდელ დედებს, საკუთარ პიროვნებებს და ასე გაილამაზონ და გაიმრავალფეროვნონ პრობლემებით და ტკივილებით გაჯერებული დღევანდელობა...

„დედის ლოცვა“ ჩხარში დედულეთში გაზრდილი, ამჟამად ბიზნესმენის იორამ აბულაძის ინიციატივით და თერჯოლის მერიის მხარდაჭერით დაიდგა, ამით ბატონმა იორამმა პატივი მიაგო როგორც ადრე გარდაცვლილი დედის, ასევე ყველა დედის ხსოვნას. კარგა ხანია ჩხარს არ ახსოვს ისეთი ხალხმრავლობა, როგორიც იმ დღეს. მოვიდნენ სოფლიდან წასული ადამიანებიც კი ამ დღესასწაულისათვის სხვადასხვა ქალაქებიდან, სოფლებიდან, უამრავი თერჯოლელი და ადგილობრივი მოსახლეობა, ხელისუფლების წარმომადგენლები, სტუმრები იმერეთის რეგიონიდან თუ თბილისიდან, მეზობელი ქვეყნებიდან.

ბატონ იორამის სურვილით განსაკუთრებული მოწვევით ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ ჩხარელი ქალბატონები. მათ მიმართ სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება გამოხატა არაერთმა სიტყვით გამომსვლელმა. თითოეულ მათგანს ბატონმა იორამმა პერსონალურად გადაუხადა მადლობა და საჩუქრები გადასცა. ჩხარელი ქალბატონები იყვნენ ბედნიერები, ეს დღე მათ არასოდეს დაავიწყდებათ...

რედაქციის არქივში აღმოვაჩინეთ ფოტოსურათი ღონისძიების ადგილიდან, სადაც მათთვის იყო ადგილი განკუთვნილი. სამწუხაროდ, ყველა მათგანი კადრში არ ჩანს, თუმცა ჩვენთვის, მათი სახელი ცნობილია: ნანი კირკიტაძე, მარო სოფრომაძე, ციალა ფართლაძე, მაყვალა ფანჩულიძე, ციური ყურულაშვილი, ზაირა ზარნაძე, მარო ბოჭორიშვილი, ლამარა ოდიკაძე, მანონი გიგაშვილი, ნანა დიაკონიძე, მზია აბულაძე, ქეთევან დადუნაშვილი, ქეთევან აბულაძე, თამარ რიჟამაძე, იზო გეგეშიძე, ცირა ჩხენკელი, გულნარა ხარაზოვი, მარინა მურჯიკნელი, ეს ქალბატონები იმ დღეს ყველა ჩხარელი დედის სახით იყვნენ წარმოდგენილი.

გაზეთი „თერჯოლა“ დედის დღესა და ქალთა დღესასწაულს ულოცავს მათ და მათი სახით ყველა ჩხარელ დედას და ქალს, ყველას, თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან, საქართველოს ყველა სოფლიდან, ან ქალაქიდან! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ოჯახურ ბედნიერებას თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად, მუდამ შეგრჩენოდეთ ქალური ხიბლი, ბედნიერებისა და სიყვარულის განცდა.

მრავალჟამიერ, იდღეგრძელეთ ძვირფასებო...

მზია ცქიფურიშვილი

P.S. ჩვენი გაზეთის ეს ნომერი, 2 მარტით, გაზაფხულის ამ მეორე დღით თარიღდება, დედის დღე კი 3 მარტია. გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ დღეს ჩხარელი ქალბატონები მთელი მუნიციპალიტეტის სხვა ქალბატონებთან ერთად მიაგებენ პატივს ჩხარის ცენტრში აღმართული დედის მარად უკვდავ სახეს.

აღინიშნა გმირის დაბადების დღე

23 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძემ მეორე მსოფლიო ომის გმირის, დავით ჯაბიძის, დაბადების დღესთან დაკავშირებით, სოფელ ჩხარში გვირგვინით შეამკეს გმირის ძეგლი.

თარიღთან დაკავშირებით, მამა რომანოზმა გმირის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ახალი სახლების კარებები გაიღო

გასული თვის ბოლო დღეებში ახალ საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის სახსრებით აშენდა სახლდაზიანებულთა სოციალური პროგრამით ახალმოსახლეობა აღნიშნა ამ პროგრამის ბენეფიციარმა 8 ოჯახმა.

ოჯახებს ახალი სახლები და მათი გასაღებები მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, პარლამენტარ ზვიად შალამბერიძესა და საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად გადასცა და ახალმოსახლეობა მიულოცა.

2025 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებისა და გაძლიერების მიზნით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 400 000 ლარი იყო გამოყოფილი.

სოციალური პროგრამა, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან მოქმედებს, ითვალისწინებს ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ან შეძენას მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რომელთა სახლები დაზიანების მასშტაბის გამო დემონტაჟს ექვემდებარება.

პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე ახალი საცხოვრებელი სახლი უკვე 50 ოჯახს გადაეცა.

თერჯოლაში სახლდაზიანების პროგრამა გრძელდება და 2026 წლის ბოლოს ახალ სახლს კიდევ 6 სოციალურად დაუცველი ოჯახი მიიღებს.

უსაზღვროა ახალსახლმფლობელთა ოჯახების წევრთა სიხარული. ისინი დიდ მადლიერებას გამოხატავენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის და ყველა იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც მათთვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში იყო ჩართული და ზრუნავდნენ მათზე.

სიკეთეს სიკეთით უპასუხებენ, სიყვარულით, სხვებზე ზრუნვის გრძნობით აღზრდიან შვილებს, შვილიშვილებს, თაობებს გადასცემენ ამ სასიამოვნო ფაქტის შესახებ, იქნებ ისეთებიც კი დადგნენ, მომავალში სხვების დახმარება შეძლონ—ამბობენ ისინი.

მაგული მაკარიძე (საზანო)—ოთხი შვილი მყავს. ორი გათხოვილია, მე და ჩემი ორი შვილი კი ორი წელია ქირით ვცხოვრობთ, ქირის თანხას მუნიციპალიტეტის მერია იხდის. ეს ჩვენთვის დიდი დახმარება იყო, მაგრამ როცა გავიგე, რომ მერიის დაფინანსებით სახლს ამიშენებდნენ, განსაკუთრებული სიხარული დამეუფლა, საკუთარ სახლზე უკეთესი რა შეიძლება გქონდეს. მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, ქალბატონ დიანა ფოცხვერაშვილს, მადლობა ჩემი სოფლის ხელმძღვანელებს, ყველას, ვისაც წვლილი აქვს იმ სიხარულში, რაც განვიცადე. აღვადგინე ძველი ტრადიცია — ისეთი ჩემმა მშობლებმა რომ იცოდნენ, სიცოცხლის მთელ მანძილზე მადლობას შევწირავ უფალს ყოველი დღის გათენებისათვის, მუდამ მემახსოვრება და მადლიერი ვიქნები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელმძღვანელების.

გიული მურადაშვილი (რუფოთი)—„ვაი, მაგათ ვენაცვალე მე“—მითხრა გიულიმ მისალმებისთანავე, თუმცა მე სულ სხვა კითხვის დასმა მინდოდა. მელაპარაკა ბედნიერებაზე, სიკეთეზე, თანადგომაზე, ბევრი სამადლობელი თქვა ბატონ მანუჩარ რობაქიძეზე, გოდერძი თურქაძეზე, მერის წარმომადგენელზე სოფელში, მშენებლებზე, მერიის სამსახურებზე, დიანა ფოცხვერაშვილს „დიდი გულშემატკივარი“ უწოდა, „სხვა დროსაც გაუმართავს ჩემთვის ხელიო“—თქვა.

სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ ახალ ჭერქვეშ ჩვენო თერჯოლელებო!

ჟუჟუნა ცხადაძე

განიხილეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში „გოგნის ქარის ელექტროსადგური“

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, შპს გოგნის ქარის კომპანიის საქმიანობის შესახებ საჯარო განხილვები გაიმართა.

როგორც ცნობილია, თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“ 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ. ქვესადგურის მშენებლობა იგეგმება. შეხვედრაზე, კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნული პროექტის გარემოს ზემოქმედების შეფასების (გზშ) შესახებ ანგარიში წარმოადგინეს. საჯარო განხილვებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად თერჯოლის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ანალოგიური ტიპის საჯარო განხილვები სოფელ ახალთერჯოლაშიც ჩატარდა. კომპანიის წარმომადგენლები, 20 თებერვალს სოფელ ჩხარის და გოგნის მოსახლეობასაც შეხვდნენ.

ქალი თვითმმართველობაში — მაკა ასათიანი

სიახლეთა ძიება, შემოქმედებითი საქმიანობა მისი ყოველდღიურობაა...

„გასული წელი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და საინტერესო კულტურული ღონისძიებებით იყო გამორჩეული ჩვენს მუნიციპალიტეტში“—აღნიშნა წლის შემაჯამებელი ღონისძიების დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მან მადლობა გადაუხადა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს და პერსონალურად მაკა ასათიანს, რომელიც ამ უაღრესად საპასუხისმგებლო, შრომატევად და ამავე დროს საინტერესო სფეროს ხელმძღვანელობს.

კულტურა თერჯოლის სავიზიტო ბარათია... მას ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან მოყვება ღირსეული ტრადიციები, როგორც ცხოვრების მარადიული თანამგზავრი, როგორც თვალშეუდგამი სიმაღლე ქართველთა სულიერი ავლადიდებისა...

დიახ, თერჯოლელ მომღერალ-მოცეკვავეთა თუ თეატრალთა შესაძლებლობები ფართოა და საამაყო. მერიის აღნიშნული სამსახური მოწოდებულია თითოეული თერჯოლელის ყოველდღიურობა იყოს საინტერესო, მრავალფეროვანი და მიიღონ სიამოვნება, სხვადასხვა კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებებით, გასართობი და სანახაობრივი აქტივობებით ა.შ. ამ მიზნით კულტურული ცხოვრების დაცვა, განვითარება და ხელშეწყობაც ამ სამსახურის მიერ ხორციელდება.

მაკა ასათიანი დაიბადა თბილისში, გაიზარდა ღვანკითში, დედულეთში. თბილად და ტკბილად იგონებს უაღრესად მზრუნველ ბებია-ბაბუას. წარჩინებით დაამთავრა ღვანკითის საჯარო სკოლა, შემდეგ, 1999 წელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 2000 წელს მუშაობა დაიწყო ღვანკითის საბავშვო ბაღში...

საუკეთესო მოგონებებსა და სიყვარულს იწვევს მასში პატარებთან გატარებული 14 წელიწადი და თავისი ცხოვრების ლამაზ პერიოდად მიაჩნია.

2015 წელს მაკა ასათიანი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ ინიშნება. არის ამავე დროს ცესკოს ტრენერი. 2020 წელს მერიაში, მერის ლაშა გოგიაშვილის პირად მდივნად დაინიშნა, შემდეგ მანუჩარ რობაქიძის თანაშემწედ, რა დროსაც მისი ორგანიზებით ჩატარდა „თერჯოლობა-2023“, „თერჯოლობა-2024“ და „თერჯოლობა-2025“-ს კი უკვე დღევანდელი პოზიციიდან უწევდა ორგანიზებას.

პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის მიმართ და სათანადო უნარი, რისი მეშვეობითაც მაკას კარგად გამოუვიდა ყველა დავალების შესრულება, სწორედ ეს იყო განმსაზღვრელი მისი მერიის ამ საპასუხისმგებლო სამსახურში დაწინაურებისა.

პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელსაც უკვე ქალბატონმა მაკამ ამ სამსახურიდან უხელმძღვანელა იყო ზაფხულის ახალგაზრდული ბანაკი ანუ „ნინველები“ 2024 წელს.

ბანაკს, მართალია, ლიდერები მართავდნენ, გამორჩეული, უნარიანი, შემოქმედებითი ახალგაზრდები და ეს იყო თერჯოლის სინამდვილეში პირველი ასეთი ბანაკი, თუმცა ყოველივე ამის უკან იყო უამრავი ორგანიზაციული საქმე მოსაგვარებელ-გადასაჭრელ-შესათანხმებელი, რომელზედაც იყო დამოკიდებული ბანაკის ნორმალური ფუნქციონირება. ამ სამსახურმა, მერის მანუჩარ რობაქიძის და სხვების თანადგომით შეძლეს ერთი კვირის განმავლობაში ბედნიერი დღეები ეჩუქებინათ და დაუვიწყარი პირობები შეექმნათ სკოლების მიერ შერჩეული 60 უფროსკლასელი ახალგაზრდისათვის, რომელთაც ხვდათ ის ბედნიერება, რომ ბანაკის ცხოვრებაში ყოფილიყვნენ ჩართულები. ბანაკის მონაწილეებმა მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ადგილებიც დაათვალიერეს.

დასკვნითი ღონისძიების ფარგლებში ქალაქის ცენტრში, მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ კონცერტი ჩატარდა.

შემეცნებითი სემინარები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინება სხვადასხვა სფეროში, ეს არის არასრული ჩამონათვალი, რომლითაც ბანაკის მონაწილეებმა რამდენიმე დღეში, ირგვლივ საინტერესო, მხიარული და კრეატიული გარემო შექმნეს...

ისინი მდიდარი შთაბეჭდილებებით, სამომავლო სურვილებით და რიგ შემთხვევაში სინანულის ცრემლებით დაემშვიდობნენ ბანაკს.

შემდეგი ფართომასშტაბიანი ღონისძიება—ეს იყო ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის დღე საგვარჯილეს ტურისტულ სივრცეში, რომელიც სპორტისა და ოლიმპიზმის საიუბილეო 35-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ ღონისძიების ინიციატორი იყო სეოკ-ის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია. აქტივობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხრდაჭერით და მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. იმ დღეს სოფელი ძევრი და საგვარჯილეს ტურისტული სივრცე რომ ულამაზეს ღონისძიებათა ცენტრად და სანახაობად იქცა, მასში დიდი იყო ქალბატონ მაკას წვლილი.

წელს მესამედ გაიმართა შობის დღესასწაულზე მასშტაბური სადღესასწაულო ღონისძიება „ალილო“, რომელიც პირველად 2024 წელს მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით მოეწყო. პირველი ალილო თერჯოლაში მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და მისი ხელმძღვანელის მაკა ასათიანის ორგანიზებით გაიმართა და ასეა ყოველწლიურად.

უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი ისეთი მასშტაბური ღონისძიება სოფელ ჩხარში, როგორიც იყო ძეგლის „დედის ლოცვა“ გახსნა, უამრავი სტუმარი და მასპინძელი შეიკრიბა იმ დღეს ჩხარში და ყველამ ერთად იზეიმა ძეგლის დადგმა და გახსნა, რომლის ინიციატორი და დამკვეთია ბიზნესმენი იორამ აბულაძე, მოქანდაკე გიორგი კიკვაძე. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გამართული დიდი, ულამაზესი ღონისძიება, რომელშიც თერჯოლის შემოქმედებითი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრისა და ჩხარის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

საყოველთაო ზეიმად იქცა თერჯოლის სამუსიკო სკოლის ახლადრეაბილიტირებული შენობისა და ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის გახსნა. სკოლის პედაგოგების და აღსაზრდელების სიხარული იმ დღეს გაიზიარეს მოქალაქეებმა, მოწვეულმა სტუმრებმა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა კონცერტმა, დიდი და ამაღელვებელი იყო შთაბეჭდილებები, მოგონებები, მადლიერება მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მისამართით:

ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს ყველა იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რაც ამ სამსახურის ორგანიზებით კეთდება თერჯოლაში. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად აღნიშნავს ისეთ მნიშვნელოვან თარიღებს, როგორიცაა: 23 თებერვალი—იუნკერთა ხსოვნის დღე, ქალთა დღესასწაულები, 21 მარტი—დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, 21 მარტი—ტყის დაცვის დღე, 9 აპრილი—ეროვნული ერთიანობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღე, 14 აპრილი—ქართული ენის დღე, სიყვარულის დღე, 23 აპრილი წიგნის ჩუქების დღე, 9 მაისი—ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე, 18 მაისი—ეროვნული სამოსის დღე, 26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 1 ივნისი—ბავშვთა დაცვის დღე, ვეტერანის დღე, სოხუმის დაცემის დღე, გმირის დღე და ა.შ.

კულტურის სამსახურის ორგანიზებით არაერთი შემაჯამებელი თუ საჩვენებელი კონცერტი ნახეს თერჯოლელმა მაყურებლებმა სიმღერისა და ცეკვის ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით. თერჯოლელ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა აგრეთვე ენახა კონცერტი, მოწვეული ცნობილი ჯგუფების მომღერალთა მონაწილეობით.

საზეიმო ვითარებაში ხდება ყოველწლიურად საგანმანათლებლო საჯარო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედლებით კურსდამთავრებულთა დაჯილდოვება.

2025 წელს მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სასკოლო ლიგა—თავისუფლების თამაშები მინი ფეხბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები: დიპლომები, მედლები, თასები. გაიმართა აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენი და მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში ახალგაზრდებს შორის, გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, დიპლომები და მედლები. ასევე დაჯილდოვდნენ საფეხბურთო ტურნირში გამარჯვებული გუნდები ადმინისტრაციული ერთეულის უბნებს შორის და ლაშა გოგიაშვილის სახელობის პირველობა მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ ფულადი პრიზები, დიპლომები, მედლები და თასი პირველ ადგილზე გასულ გუნდს და ა.შ.

ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით შპს სქილვილის ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით განხორციელდა პროგრამების სწავლება თანამედროვე მეთოდებით ბენეფიციარების მიერ არჩეული სასწავლო კურსის შესაბამისად. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 23 მოსწავლემ, სასწავლო კურსი წარმატებით დაამთავრა 11-მა ახალგაზრდამ...

დიდია ნუსხა იმ საქმიანობისა, რომელსაც მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელობით იქნა გაწეული, წინ კიდევ უფრო დიდი გეგმებია.

სამსახურის ხელმძღვანელი მაკა ასათიანი იმედოვნებს თავის გუნდთან ერთად, მერის, ბატონ მანუჩარის მხარდაჭერით ყველაფერს შეძლებენ...

ქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე:

„მაკა ასათიანი — საუკეთესო, თავისი საქმის პროფესიონალი, ღირსეული მამულიშვილი და რაც მთავარია ღვანკითის სკოლის აღზრდილია, რომელიც მოსწავლეობის წლებში წარჩინებით სწავლასთან ერთად განსაკუთრებული ნიჭითა და შემოქმედებითი უნარებით გამოირჩეოდა. მისთვის, „ფრიადის“ გარდა სხვა შეფასება არ არსებობდა. გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. ყველა დავალებას უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებდა.

დღეს მაკა ყველაფერ ზემოჩამოთვლილთაგან ერთად უნიკალური უნარების მქონე საუკეთესო ორგანიზატორიც არის. მისი იდეები, მისი და მისი გუნდის პროექტები ალამაზებენ ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებას. მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ისტორიას დარჩება და იქნება მემატიანე „გარდასული დღეების საუკეთესო ეპიზოდებისა.

ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. მაკა ბავშვობაშიც იყო ისეთი აქტიური, როგორიც არის დღეს და არის იქ, სადაც უნდა იყოს. კვლავ და კვლავ წარმატებები ამ უნიკალური უნარების მქონე ახალგაზრდა ქალბატონს!“

„თერჯოლა“ დედის დღეს და ქალთა დღესასწაულს ულოცავს ქალბატონ მაკას, უსურვებს კვლავაც წარმატებას და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას. ასევე წარმატებებს ვუსურვებთ მისი სამსახურის თანამშრომლებს, ყველა ქალბატონს, ვინც თერჯოლის თვითმმართველობაშია და პასუხისმგებლობის მაქსიმუმით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

მზია ცქიფურიშვილი

პედაგოგთა რაიონული კონფერენცია

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი—პედაგოგთა რაიონული კონფერენცია თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში ჩატარდა. მიმდინარე წლის 7 თებერვალს მონაწილე და დამსწრე პედაგოგთა რეგისტრაცია ადრე დაიწყო და სრულ ათ საათზე სტუმრებიც მოვიდნენ. კონფერენცია რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ გახსნა. მან ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე, მასში პედაგოგთა მაღალ ჩართულობასა და თემების მრავალფეროვნებაზე, წინა წლების გამოცდილებასაც გაუსვა ხაზი, მადლობა გადაუხადა პროექტის მონაწილეებს, სტუმრებს, მასპინძელ სკოლას, მერიასა და საკრებულოს მხარდაჭერისათვის.

კონფერენციას ესწრებოდნენ: საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე, საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი როლანდ ხოჯანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიისინი სამ სექციაში მონაწილეობდნენ: „არაფორმალური განათლება—საკლუბო მუშაობა“, „პროექტის მართვა“, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა“.

სექციებში მუშაობა ერთდროულად დაიწყო. სტუმრები დაესწრნენ და მოისმინეს პედაგოგთა გამოსვლები თითო, იყო მთავარი გზავნილიც—ველოდებით ახალ პროექტს. საინტერესო იყო სტუმრის—ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის მარი შეყილაძის გამოსვლა და შეფასებები.

ჩაძე. ქალბატონმა მაიამ, ბატონმა მანუჩარმა, ბატონმა როლანდმა მაღალი შეფასება მისცეს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ განხორციელებულ პროსამივე სექციაში, რაც ერთგვარი სტიმული იყო პედაგოგებისათვის, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე სამომავლო მუშაობისათვის.

დასასრულს ქალბატონმა ქეთევანმა კონფერენციის თითოეულ მონაწილეს სამადლობელი ბარათი გადასცა, ხოლო თვით ქეთევანს დირექტორატის სახელით სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორმა ია კვატაიამ სიგელი და სამახსოვრო ჯილდო გადასცა.

ექტს, ისაუბრეს მის მნიშვნელობაზე, არც სამადლობელი დაიშურეს, „კეთდება უზარმაზარი საქმე“, „საამაყო და კარგი პედაგოგები“, „სოლიდარობა და ერთიანობა მნიშვნელოვანია“ და სხვა და მრავალჯერ იხსენა ქალბატონი ქეთევანის როლი რაიონის განათლების სისტემის განვითარებაში. კონფერენციას ესწრებოდა თერჯოლის პედაგოგთა პროფკავშირების თავმჯდომარე ხათუნა გურული, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნინო ხუჯაძე, თემები წარმოადგინა სხვადასხვა სკოლის პედაგოგმა.

კონფერენცია დიდხანს გაგრძელდა, წარმოდგენილი იქნა 45 თემა, დასრულების შემდეგ ყველამ ერთად მოისმინა შეფასებები.

მუშაობა ქალბატონმა ქეთევანმა შეაჯამა. სიტყვებით გამოვიდნენ პედაგოგები: ნატო კვეტენაძე, ლია ჩხიკვაძე, მაკა მიშველიძე, მირანდა ჟორჟოლაძე, მშობელი თინათინ აფრიდონიძე.

ისმოდა გულწრფელი სიტყვები, სამადლობელი: საგანმანათლებლო რესურსცენტრის, მონაწილეების, მასპინძელი სკოლის, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მისამართით.

***

მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

12 საათზე გამართული „ყავის შესვენება“ კი იმაზე მეტი იყო, ვიდრე „ყავა“.

***

კონფერენციამ და მისმა მთავარმა მიმართულებამ—ჩემი წარმატებული პრაქტიკის გაზიარება—მიზანს მიაღწია. შთაბეჭდილებათა დაფამ კი დაიტია და სამომავლოდ შეინახა ფერად-ფერად ფურცლებზე დაწერილი აზრები და სურვილები.

ჟუჟუნა ცხადაძე

კონფერენციის თემატური გამომსვლელები იხილეთ მე-8 გვერდზე.

ლაღები, ამაყები, ჯანმრთელები იყავით ჩემი მიწის ქალბატონებო, ჩვენი მხარის დედოფლებო!

25 წლის წინათ, თითქმის 30 წელი, ზღვა ენერგიით და შემართებით, უკეთესი მომავლის მოლოდინით დავაბიჯებდი, თქვენთან ერთად, ჩემო თერჯოლლებო!

ჩვენ ვიყავით დედები, თანამშრომლები, მეგობრები, ახლობლები... მერე ჩვენი შვილებიც გახდნენ დედები!

ცხოვრებამ, დიდი ხნით დაგვაშორა, მაგრამ ერთი დღეც არ მიცხოვრია თქვენზე ფიქრის, თქვენი მონატრების გარეშე... ეს გრძნობა ხშირად გამომიხატავს საჯაროდ და თქვენგანაც სადაგი პასუხი მიმიღია!

ზოგმა დაგვტოვა, გული ჩაგვწყვიტა... ნათელი და მშვიდი სასუფეველი თითოეულ მათგანს! ბევრი კი, ისევ იქა ხართ, თქვენს თბილ ბუდეში, შვილ-მომავალთან ჩახუტებული... ოჯახიდან შორს მყოფებიც ბევრია, მონატრების მძიმე ტვირთაკიდებულნი!

მოვიდა ისევ ფერადი გაზაფხული, ამას ყველაზე უკეთ ჩვენ ვგრძნობთ, ქალები, აფერადდა თქვენი კაბები...

ქალი—ნაზი, სუსტი, საფერებელ-საგოგმანები, მაგრამ დედა—ყოვლისშემძლე, გააფთრებით მებრძოლი, უშიშარი და შეუდრეკელი, როცა საქმე მისი შვილების დაცვას ეხება... ეს ჭეშმარიტება, ახლახან, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, უსაფუძვლოდ მოკლული, საუკეთესო ბიჭის, გიგა ავალიანის დედამ, ჩვენს მიწაზე გაზრდილმა, ჩიხორელმა გოგომ, ეკა კუპატაძემ... მან რევოლუცია მოახდინა მთელი საქართველოს მასშტაბით... გონიერმა, რკინის ქალამნებ-ამოცმულმა, გამწარებულმა დედამ რა შედეგები დადო, ყველა გაგვაოგნა! აი რა შეუძლია დედას შვილისთვის... აი როგორი უნდა იყოს ყოველი დედა!

ცხოვრება თავის ავ-კარგით მისი გზით მიდის, კიდევ მრავალჯერ მოვა ფერადი გაზაფხული და დედების ულამაზესი დღეც... ჭრელიც იქნება და შავიც კაბები, ცხოვრების კანონს ვერ ვუმკლავდებით, მაგრამ მუდამ იქნებიან დასალოცი დედები.

ყველა ასაკის და მდგომარეობის დედებს დაგლოცავთ... თქვენი გუნება-განწყობა მუდამ ეხამებოდეს ამ ნაირფერ გაზაფხულს... მზე, ყვავილები, სიკეთე და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამდევი...

ბედნიერი დედობა, საამაყო შვილობა, ღირსეული ადამიანობა თითოეულ თქვენთაგანს!

სიყვარულით, ბედნიერებით, ხვავით, ბარაქით იყოს ავსილი თქვენი ოჯახები...

ლაღები, ამაყები, ჯანმრთელები იყავით ჩემი მიწის ქალბატონებო, ჩვენი მხარის დედოფლებო!

ერის სიმრავლის მოთავე და ოჯახის დედაბოძო—ჯანსაღი, სიყვარულით მოცული გარემო და ღირსეული სიბერე, თქვენ!

გესალმებით, გკოცნით, გეფერებით, თქვენგან ძალიან შორს მყოფი, მაგრამ მუდამ თქვენზე სიკეთით მოფიქრალი, თქვენი ლუიზა კუპატაძე!

„საოცრებაა ბებიობა“

საინტერესო, შინაარსიანი ცხოვრების გზა გაიარა ნუნუ წიწილაშვილმა, როგორც შვილმა, მეუღლემ, დედამ, ბებიამ და პედაგოგმა.

ნახევარი საუკუნე ემსახურა საყვარელ საქმეს, თაობებმა, ასეულობით ბავშვმა გამოიარა მის ხელში, ახლა ისვენებს, ოთხი წელია პენსიაზეა, მაგრამ დღესაც ფიქრობს მოსწავლეებზე, სკოლაზე, აღზრდილებზე, რომლებიც მრავლად არიან და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, როგორც ექიმები, პედაგოგები, იურისტები, ბიზნესმენები, ინდმეწარმეები, ინჟინრები, საოპერო მომღერლები და სხვა. დიდია რიცხვი და ვერ ჩამოთვალა, იმ მიზეზით, რომ გაზეთის ეს გვერდი ვერ დაიტევდა.

ნუნუკა წიწილაშვილმა იცოდა თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისწრაფებები, იგი იყო მათთვის მასწავლებელიც და მშობელიც, მეგობარიც და მესაიდუმლეც, არ ხიბლავდა მშობლის დაბარება სკოლაში, რაც ზოგჯერ მაინც ხდებოდა და ასეთ დროს „დამნაშავესავით“ იდგა, როგორც მშობლის, ისე მოსწავლის წინაშე.

დედა-ენა, და აი-ია ასწავლა თაობებს. სწორედ ოთხ წელიწადში, დაწყებითი განათლების საფეხურზე ეყრება საფუძველი მოზარდის შემდგომ წარმატებას თუ წარუმატებლობას. „ნუნუკას კლასი“ ყოველთვის საუკეთესო იყო მაღალ კლასებში. სწორედ მიღებული შედეგებისათვის მიენიჭა მას არა ერთი წოდება, მიიღო ჯილდო და სიგელი. იმერეთის განვითარების სააგენტოსა და სასკოლო ოლქის სამმართველოს მიერ ჩატარებულ კონკურსში „საუკეთესო მასწავლებელი, კლასი, დირექტორი, სკოლა, რაიონი, ქალაქი, იმერეთის განათლების სისტემაში“ მიენიჭა საუკეთესო მასწავლებლის წოდება, კლასს საუკეთესო კლასი. არაერთხელ მიიღო მონაწილეობა განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტებში და წარმატებულად. პროექტში „იზრუნე“-ჯი კლასმა რამდენიმეჯერ მიიღო სუპერკლასის წოდება...

პედაგოგის ოჯახში გაიზარდა ქალბატონი ნუნუ. მშობლები: ნათელა ბოდოკია, მამა პავლე წიწილაშვილი თავიდანვე უნერგავდნენ სწავლის, შრომის სიყვარულს, ესაუბრებოდნენ სიკეთეზე, ზნეობრივზე, ამაღლებულზე, კეთილშობილურზე, მოყვასის სიყვარულზე... ☞5

ფუძემტკიცე—მანანა რიჟამაძე ოთხი შვილის დედაა

წერილი ამ სათაურით 1990 წლის 8 მარტს, გაზეთ „წინსვლის“ №29-შია დაბეჭდილი და მაშინდელ ჟურნალისტს ეთერ დადუნაშვილს ეკუთვნის. ეთერი ახლა აშშ-ია, ხშირად გვეხმიანება, ინტერესდება ჩვენი საქმიანობით, უყვარს და კითხულობს „თერჯოლას“.

ამონარიდები წერილიდან

„ოჯახის მამა რომან რიჟამაძე პროფესიით მხატვარია, შემოქმედებასთან წილნაყარი. შვილების ნათელი მომავლისათვის სწრაფვა, მათი აღზრდა ღირსეულ მამულიშვილებად ესაა უმთავრესი საფიქრალი. რომანი თვითონაც მრავალშვილიანი ოჯახის წევრია. თუზელი დავით რიჟამაძის ოჯახში აღიზარდა.

რაიონის საზოგადოება მას იცნობს, როგორც პატიოსან, მშრომელ და საქვეყნო საქმისათვის თავდადებულ ადამიანს. დავითი მეცამეტე ყოფილა შვილებში, თვითონ კი ექვსი შვილი აღზარდა. ტრადიცია გრძელდება, ვნახოთ მანანა და რომან რიჟამაძეები მშობლებს გაეჯიბრებიან თუ წინაპრებს“. „რომანი სამხატვრო სკოლის მასწავლებელია, მანანა თერჯოლის №3 ბაღის თანამშრომელი“. „როდესაც მანანას ოჯახურ პრობლემაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, მან მოკრძალებით შენიშნა, შვილები იმიტომ კი არ გავაჩინე, რომ ვინმეს იმედი მქონოდა, ოჯახს თავადვე მოვუვლითო“. „გაზაფხული მომძლავრდა და აფეთქთა მათ პატარა, კოხტა ეზო-გარემოში, კვირტების უჩინარ ხმაურს ოთხი სიცოცხლის ჟრიამული უერთდება და საოცარი სიმფონია გამუდმებით ჟღერს მათ გულებში, გაზაფხულს და რვა მარტს ვულოცავთ ოჯახის დედას, ქალბატონ მანანას და მის სამ ქალიშვილს—შორენას, თეას, ეკას“.

***

ოჯახის უფროსს რომანს, საჩუქრები მიურთმევია მეუღლისა და გოგონებისათვის, პატარა კონსტანტინე კი „ადვილად“ გამოსულა ოთხი იის კონა შეუკრავს, დაკრეფილი საკუთარ ეზოში.

რიჟამაძეების ოჯახი 36 წლის შემდეგ

ოჯახის უფროსი, ქალბატონი მანანას მეუღლე და ოთხი შვილის მამა რომან რიჟამაძე რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. დატოვა ღირსეული ოჯახი. ოთხი შვილის ცხოვრება კი ასე წარიმართა.

ოჯახის დედა—მანანა ჯმუხაძე-რიჟამაძე რაჭაში, ნიკორწმინდაში არის დაბადებული, წლების განმავლობაში მეუღლის ავადმყოფობის პერიოდში უწევდა ემიგრაციაში ყოფნა, უჭირდათ ფინანსურად, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ემიგრაცია 12

წელს გაგრძელდა, რაც რთული პერიოდი იყო ბავშვებისთვის, ახლა ერთად არიან, ოჯახმა უფლის ნებით შეძლო ფეხზე დგომა. ქალბატონი მანანა დაუღალავი, ენერგიული ადამიანია, უყვარს ოჯახი, ეზოში ფუსფუსი, ყვავილებზე ზრუნვა. დიდი სიყვარული აკავშირებდათ მეუღლეებს ერთმანეთთან, ძნელად გადაიტანა ოჯახმა ბატონი რომანის დაკარგვა. სითბოსა და სიყვარულში გაიზარდნენ შვილები, გაჭირვება არც უგრძვნიათ, სითბო და მზრუნველობა ჰქონდათ საზრდოდ.

☞7

„საოცრებაა ბებიობა“

4☜

თუზი, სადაც სკოლა დაამთავრა, ზედა ალისუბნის საშუალო სკოლა, სადაც პირველად ჩაატარა პირველი გაკვეთილი, პირველ კლასში, როგორც პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის კურსდამთავრებულმა, არასოდეს დაავიწყდება. ბევრი გამოცდილება დაუგროვდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მასობრივი მუშაობის ორგანიზატორის თანამდებობაზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მაღალმა დონემ საშუალება მისცა გამოეყენებინა ეს გამოცდილება სასწავლო პრაქტიკაში.

მერე იყო ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობა თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში, სწორედ აქ მიაღწია ხელშესახებ წარმატებებს, აქ განვითარდა და ჩამოყალიბდა, იგი არასოდეს ჩამორჩენია განათლების სისტემაში განხორციელებულ სიახლეებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუშაობისას გაიცნო მომავალი მეუღლე რობერტ მაღლაკელიძე. 1977 წელს დიდი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. რობერტი ფიზიოთერავპეტად მუშაობდა ცენტრალურ საავადმყოფოში, კვალიფიციურ ექიმს ენდობოდნენ, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებში, უყვარდათ საფეხბურთო კლუბ „საპოვნელას“ ფეხბურთელებს, ფეხბურთის გულშემატკივრებს, არა მარტო, როგორც გუნდის ექიმი, არამედ, როგორც უღალატო კაცი.

მერე გაჩნდა პირველი შვილი ბესარიონი (ბესო) მოუსვენარი, ცელქი და ნიჭიერი. ნუნუკასა და რობერტის მეგობრები ბავშვობიდან ვიცნობდით ბესოს, პატარაობისას ვეფერებოდით, წამოზრდილს ჭკუას ვარიგებდით, არ ვიცით გვიჯერებდა თუ არა, მაგრამ კარგი კაცი რომ დადგა ფაქტია. მამის პროფესია აირჩია, ექიმი ფიზიოთერაპევტია და საფეხბურთო გუნდ „საპოვნელას“ ექიმი. ბესოს აქვს პაციენტებთან ხშირი გამოძახება, გამოირჩევა გულისხმიერებით და საქმის ცოდნით. ბესოს კარგად იცნობენ კოლეგები საქართველოს ბევრ რეგიონში. „მე კი მიგიღებთ, მაგრამ თქვენ ხომ გყავთ ბესარიონ მაღალეკიძე, ის კარგი ექიმია, თერჯოლაში გააგრძელეთ მკურნალობაო“—უთხრეს თურმე თერჯოლელ პაციენტს ქუთაისში.

მოგვიანებით გაჩნდა მეორე შვილი—რობერტი, იგი უმაღლესი განათლებითაა, იურისტია, თბილისში, კერძო სტრუქტურაში მუშაობს.

განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს ნუნუ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუშაობის წლებს, აქ შევიძინე ისეთი მეგობრები, რომლებთანაც დღემდე მაქვს ურთიერთობა, სწორედ მეგობრებმა

და ოჯახმა გადამატანინეს დანაკლისი და დიდი მწუხარება, რაც ამ თერთმეტი წლის წინ მეუღლის გარდაცვალების გამო მარგუნა ბედმა—ამბობს ნუნუ და მადლიერებას ვერ ფარავს—რძლის, ბესოს მშვენიერი მეუღლის მაკა მიშველიძის მიმართ, ის მაძლიერებს და კიდევ ჩემი ორი შვილიშვილი-ო.

მაკა მიშველიძეს კარგად იცნობენ საგანმანათლებო სფეროში, იგი სპეციალობით ექიმია, ამჟამად თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში მუშაობს ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ბესოს და მაკას ორი შვილი—მარიამი მე-11 კლასის, ანანო მე-9 კლასის მოსწავლეები არიან, კარგად სწავლობენ, ჩართული არიან, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე სკოლის გარეშე პროექტებში. ბებია მათ არ ასწავლიდათ, მაგრამ დიდია ნუნუს წვლილი მათ სწავლა-აღზრდაში, ყოველთვის სწორად წარმართავდა მათ საქმიანობას.

ნუნუს ოცნება მეორე შვილის რობერტის დაოჯახებაა, მინდა მისი შვილების აღზრდაში ჩავდო ჩემი წვლილი, როგორც მაწავლებელმა და როგორც ბებიამ-ო.

ბევრია პედაგოგად მუშაობის თითქმის ხუთი ათეული წელი, ამ წლებმა გაამდიდრა, ხვავი და ბარაქა შესძინა მის გამოცდილებას, დღესაც ეცნობა განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს, იყენებს კიდეც...

„კარგია ბებიობა, საოცრება, მშვენიერება, შვილიშვილები ჩემთვის ყველაფერია, მინდა მომეცეს ბედნიერება შემომემატონ და ბევრი შვილიშვილი მაჩუქოს ღმერთმა, მერე მათი შვილები და მათ აღზრდაში ჩავდო ჩემი წვლილი—ამბობს ნუნუ.

ერთგულება, სიყვარული, ტრადიციები—რამდენჯერმე ახსენა, ხოლო კითხაზე—რას უსურვებ ქალბატონებს გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებზე, მათ ოჯახებს და ბებიებს... ასე უპასუხა: „მქონია ბედნიერი დღეები, ტკივილიც, ავიც მინახავს და კარგიც, მახარებდა ჩემი ოჯახი ბავშვობისდროინდელი და საკუთარი, მახარებდა მოსწავლეთა წარმატებები, გულს მტკენდა წარუმატებლობა, შვილების დაბადებამ მეტი პასუხისმგებლობა დამაკისრა, უფრო მეტი შვილიშვილებმა, საოცარია ბებიობა, შვილიშვილები სიცოცხლის ხალისს მმატებენ, ძალას მაძლევენ...

მინდა ბედნიერება იყოს ჩვენს ოჯახებში, რადგან ოჯახია ის გარემო, სადაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება, აქ ისმენს პირველ ზღაპარს, აქ ეზიარება რწმენას, სიყვარულს, ეცნობა ტრადიციებს, მინდა ბედნიერება იყოს ჩვენს „დიდ სახლში“—ქვეყანაში, რაიონში.

თითოეული ადამიანი თავის ინტერესი იცავს, ამან ღრმად არ უნდა გაიდგას ფესვები, უნდა ვიფიქროთ სხვებზე, შეგვეძლოს: ერთგულება ღვთისადმი, სიკეთისადმი, სიყვარულისადმი, ერისა და ოჯახისადმი, სიყვარული, მშვიდობა ჩვენს სულში, შინ, გარეთ“...

ჟუჟუნა ცხადაძე

გილოცავთ!

სილამაზის სალონი „ენსი“ ხუთი თანამშრომლით არის წარმოდგენილი: **ირინა ბუცხრიკიძე—სტილისტი, ელისო ფორჩხიძე—სტილისტი, სალომე სულამანიძე—პედიკურ მანიკურის სპეციალისტი, მადონა ქათამაძე—ვიზაჟისტი, სალომე გვილავა ლაზერო თერაპევტი.**

„ენსის“ გოგონები ისედაც მშვენიერ ქალბატონებს კიდევ უფრო ალამაზებენ. სალონში მუდამ რიგი დგას, წინასწარ თუ არ ჩაეწერე „ვერ გალამაზდები“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კვალიფიციური სპეციალისტები არიან, იციან თავიანთი საქმე.

ვულოცავთ მათ გაზაფხულის პირველ და ყველაზე ლამაზ დღესასწაულებს, დედის და ქალთა დღეს და სიკეთეს ვუსურვებთ, დიდხანს, ძალიან დიდხანს ემსახურონ სილამაზეს, თერჯოლელ ქალებს კი მუდამ ჰქონოდეთ ხალისი ლამაზდებოდნენ.

დედაშვილობა ქართულ მწერლობაში

ძველ რვეულში აღმოვაჩინე ჩანაწერები, რომელმაც დედის დღესთან დაკავშირებით გაზეთში გამოსაქვეყნებელი ეს თემა მიკარნახა. აი, ერთ-ერთი ჩანაწერი:

„ერთხელ, ახალგაზრდა კაცმა ასაკოვანი დედა რესტორანში წაიყვანა. მოხუცს ხელი უკანკალებდა, საჭმელს კაბაზე იყრიდა, ყველა მათ მისჩერებოდა, შვილი ყურადღებას არ აქცევდა. როცა ვახშამს მორჩნენ, შვილმა კიდევ ერთხელ გაუსუფთავა კაბა, ვარცხნილობა შეუსწორა და წავიდნენ. ამ დროს ერთი კაცი წამოდგა და შვილს უთხრა—მე მგონი თქვენ რაღაც დატოვეთ. არა ბატონო, მე არაფერი დამრჩენია. თქვენ დატოვეთ გაკვეთილი ყველა შვილისთვის, იმედი მშობლებისთვის“.

თემაზე გვესაუბრება ნახშირღელის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მაია მელუავა.

დედა, შვილი და ქართული მწერლობა

ხომ მიმზიდველია ყვავილთა სილამაზე და უკიდეგანო სივრცე! მათ სხვადასხვაგარი მიმზიდველობა აქვთ. ყვავილი თავისი ფერით, ფურცელთა ფორმით, მათი განლაგებით და, რაც მთავარია, საამო სურნელითაა მიმზიდველი. უფრო ძნელი სათქმელია, თუ რით ხიბლავს კაცს სივრცის უსაზღვროება. ალბათ ეს შეუცნობელისაკენ, მიუწვდომელი იდუმალებისაკენ სწრაფვაა. პირველი მშვენიერების გრძნობაა, მეორე—ამაღლებულისა. ამ ორ უმშვენიერეს ესთეტიკურ გრძნობაზე მაღლა დგას დედობა.

დედა—უნაზესი, ულამაზესი, უძლიერესი პიროვნება, რომლის წინაშე ყველაფერი წინააღმდეგობრივი უკან იხევს.

შვილი—ნანინანატრი პირმშო, ნალოლიავები, ნაფერალი, იმედად და გასახარად გაზრდილი.

და რა ასახავდა მათ ურთიერთობას, მათ მიჯაჭვულობას ისე უკეთ თუ არა უდიდესი და უძველესი ქართული მწერლობა.

ქართული მწერლობა დედის ხმით იწყება. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ტექსტი დაიწერებოდა, სანამ კალამი ქაღალდს შეეხებოდა, არსებობდა დედის ნათქვამი ზღაპარი, ლოცვა, რომელიც ღამით ჩუმად ეფერებოდა ბავშვს. დედა ქართულ მწერლობაში მხოლოდ პერსონაჟი არ არის, იგი პირველწყაროა. დედა—ხშირად მსხვერპლია, მაგრამ არა სუსტი.

ის ტკივილს ატარებს, ჩუმად, დაფარულად. ომების, რეპრესიების, გაჭირვების ფონზე დედა იქცა მოლოდინის სიმბოლოდ-ფანჯარასთან მდგარი, გზისკენ მაცქერალი. შვილი კი მუდამ გზაზეა. რაც უნდა შორს წავიდეს, დედის ხმა მაინც მიჰყვება, როგორც უხილავი მორალური კომპასი.

ქართული ცნობიერება დედას ხშირად სამშობლოსაც ადარებს „დედა სამშობლო“—აქ სიყვარული და ვალი ერთიანდება. შვილისა და ქვეყნის მიმართ ერთდროულად იბადება პასუხისმგებლობა.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ეს კავშირი უფრო ინტიმური გახდა. გაჩნდა დუმილი, გაუცხოვება, თაობათა შორის უხილავი ბზარები.

დედა-შვილის ურთიერთობა მუდმივი დიალოგია: დედა წარსულია, შვილი-მომავალი.

დედა-ფესვია, შვილი-ტოტი. ფესვი მიწაში ქრება, ტოტი ცისკენ იწევს, მაგრამ ერთის გარეშე მეორე ვერ იარსებებს.

უმდიდრესი ქართული ფოლკლორიდან დავიწყოთ: ლექსი „ვეფხვისა და მოყმისა“—დედისა და შვილის უკვდავი ბალადა. აქ მესამე საჭირო არაა, რადგან დედის სიყვარულში შვილს ვერავინ შეეცილება და შვილის სიყვარულში— დედას. დედის გოდება, რომელიც ამ ბალადიდან მოგვესმის სულისშემძვრელია, ერთიანად გვზარავს, გვიპყრობს. ამაყია ვეფხვთან მებრძოლი ვაჟკაცი შვილის გამზრდელი დედა. „იარებოდა დედაი...“ მისთვის არც ერთი გზა სხვა აღარ არსებობდა. დადის და დასტირის თავის შვილს. შვილმკვდარი დედა ნუგეშს ეძებს:

„შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავს,
დაქანცული ხარ ჯაფითა.“

დედას ნუგეში ეუფლება:

„ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე,
ვეფხვებთან მეომარია...“

ტკივილადქცეული თავს აჯერებდა:

„მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია.“

ვეფხვსაც ხომ ეყოლება დედა. შვილმკვდარმა დედამ შვილმკვდარი დედა უნდა იპოვოს და „სამძიმარ უთხრას ჭირისა“. აშლილმა სულმა აშლილობაში უნდა იაროს. ჩემი კი არა, თავისი შვილის ამბები ვუთხრაო. დედა ყოფილა ის ერთადერთი ძალა, ყველაფერს დედაშვილობის წმინდა ენაზე რომ ალაპარაკებს. მხოლოდ დედას შეუძლია აშლილი, დასისხლული, გაბოროტებული სამყარო დაწმინდოს და შეაერთოს.

მიხა ხელაშვილის „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“. ამ ულამაზესი ლექსიდან დაუვიწყარია სტრიქონები, რომელშიც მარადიული მხოლოდ დედა რჩება, დედა ბოლომდე ერთგულია.

შვილის ადგილი არსად აღარ არის: არც ცოლის, აღარც შვილების, მხოლოდ დედის გულშია შვილის ადგილი.

„მე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც ვერ დაიძინებსა,
ვენაცვლე ძუძუს გამზრდელსა,
გულით ის დამიტირებსა.
დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა.“

დედათა დედა-ოთარაანთ ქვრივი, დიდი ილიას უკვდავი პერსონაჟი: ოცდაოთხი წლისა დაქვრივებული, მშრომელი, გამრჯე, ღირსეული, ამაყი, გონიერი, მართალი, „ბარაქალა დედაკაცი“. თავისი ყმაწვილქალობა ერთადერთ ვაჟს, გიორგის შეალია. თვალთმაქცური სიტყვის მოძულე ბარიერს არავის გადაალახვინებდა. მისი დღეები რომ გაგვევლო, ან „მის ტაფაში დამწვარვიყავთ“ ჩვენც ალბათ უარესად ვისაუბრებდით. შვილი-გიორგიც ისეთივე დიდებული პიროვნებაა, გამრჯე, მართალი და სამართლიანი, საოცარი ღვთიური მადლით ცხებული, დედის ღირსების დამცველი, თუმცა მისთვის დედის ავტორიტეტი უმაღლესია, მაგრამ წინ არ გადადის. ოთარაანთ ქვრივს თავისი არწივისებური ფრთები გაუშლია და საიმედოდ შეუფარებია შიგ გიორგი. დედამ კარგად იცოდა, რომ „დედაშვილური სიყვარული მძლეთამძლეა“, „რომ დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს...არა, შვილო, მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლითღა ვივლი და ვიცოცხლებ.“ ყოველთვის ძლიერი დედა, მხოლოდ შვილის ძლიერ სიყვარულს ვეღარ აღუდგება წინ;

დიდი ილიას ხოტბაშესხმული დედა გიორგის სიყვარულით გამთბარი ამ მხრივ წინ დგას, ვიდრე მეორე ასევე დიდებული ქვრივი, ნიკო ლორთქიფანიძის უსახელო ქალბატონი „თავსაფრიანი დედაკაცი“-ბრწყინვალე დედა უმადური შვილებით.

დიდებული კონსტანტინე გამსახურდია—ნოველა „დედავ, მისტიურო ქალო“. ნოველაში დედა რეალური ადამიანიდან სიმბოლოდ გადაიქცევა. შვილი მას ვერ „კითხულობს“. მთავარი გმირი დედასთან ფიზიკურად ახლოს არის, მაგრამ სულიერად დაშორებულია.

„გიყურებ ბნელ თვალებში. მეშინია ჩემი წარსულის. შორით მოდიხარ, ვით ავესტას მოხუცი მოგვი. წელში მოხრილი, როგორც მშვილდი ჩემი ბავშვობის. მინდა ვიტირო, რომ მე ასე ახალგაზრდა ვარ. ასე მოხუცი დედა მყოლია. კითხულობ ჩემს ნაწერებს. გული მტკივა: ჩემი არ გესმის“. რატომ ვამბობთ მთავარს მაშინ, როცა უკვე გვიანია?

შვილი სიყვარულს ბოლომდე ვერ გამოხატავს დროულად. ნოველაში ძლიერად იგრძნობა სინდისის ქენჯნა. დედა ერდროულად არის: კონკრეტული ქალი, სახე—სიმბოლო, სამშობლოსა და მიწის ალუზია.“ აჰა, იხსნება მეშვიდე ცის იდუმალება. მივქრივარ მაღლა. აღარ ვიცი, სად დავეცემი. სად დამიტირებს შენი შავი, ბნელი თვალები. უნდა დავიწვა, როგორც მაშხალა. არ გებრალები? დედავ, მისტიურო ქალო!“

უნდა გავიხსენო უბრალო დიაცი, ფხოური სამოსით მოსილი დედა და მისი სახელოვანი შვილი, სვეტიცხოვლის ამშენებელი კონსტანტინე არსაკიძე (კ. გამსახურდია „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“).

ჯაფისაგან წელში გაწყვეტილ დიდოსტატს არ ასვენებდა შორეული ჩვენება დედისა, რომელიც ხან წაბლს გამოუგზავნიდა, ხან ზღმარტლს, ხან პანტას, ფხოურ პაჭიჭებს, ჭრელ წინდებს, კალთებმოქარგულ ფხოურ ჩოხას. როგორ ელოლიავებოდა შვილი დედის ხელშენავლებ ნივთებს! დედამ წერა-კითხვა არ იცოდა. არსაკიძე მხოლოდ სიტყვიერი შემონათვალით კმაყოფილდებოდა და მერე როგორი სულისშემძვრელი იყო ეს შემონათვალი: „ცნობა მოვიდა კვეტარში: გაუცვნიხარო მეფე გიორგის, ალბათ მეფესაც ეყოლებაო დედა, ალბათ მეფესაც ეყვარებაო დედა. დედა დააფიცეო მეფეს, შეევედრეო ჩემს მაგივრად, გამოგიშვასო დედის სანახავად. ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც თვალი მოგკრა როგორმე სიკვდილის წინ დაგლოცო, შვილო, შემდეგ ამისა ნუ შემრჩება სუნთქვა შემდეგ ამისა მიმიღოსო უფალმა.“ ტკივილამდე სულისშემძვრელია!

1925 წელს პოეტი ტიციან ტაბიძე წერს ლექსს „თბილისიდან დედას“. დედის მონატრებით, მშობლიური გარემოსა და სამშობლოს სიყვარულით არის განმსჭვალული პოეტი და მისი ლექსის სტრიქონები:

„დედა, მე ვიცი, შენ აღარ გძინავს,
ელი, ჩამოვალ მაინც უეცრად.
როცა რიონი სუნთქვას გაკმინდავს,
მას შენი გული დაყვება ფიცრად“.

ერთგვარი მოწიწება და ბოდიში დედისადმი იგრძნობა ამ ლექსში.

დედა, შვილი...დედის ალერსს მონატრებული შვილის სევდა იცქირება ლადო ასათიანის ერთ დროს აკრძალულ ლექსში „დედა“:

„ამქვეყნად როცა ავიდგი ენა,
პირველი სიტყვა იყავი, დედა,
დედა, სიზმრებმა არ მომასვენა,
შენს ბნელ საკანში შემომახედა.
გეძახი, მინდა გაგესაუბრო
შუა აზიის ურწყულ მხარეში..
რა გენატრება-ქმარი თუ უფრო
დავაუკაცებულ შვილის ალერსი.“

(ლექსი პირველად დაბეჭდა ზვიად გამსახურდიამ 1978 წელს თვითგამოცემა „ოქროს საწმისში“)

1960 წლის 22 აგვისტოს (გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე) ახალგაზრდა მწერალი, ტრაგიკულად დაღუპული გურამ რჩეულიშვილი წერს ლექსს „დედა!“ საოცარია, მასში თითქოს იგრძნობა გურამის წინასწარ ხილვა თავისივე სიკვდილის:

„დედა!
ნუ ჩამოხვალ...
აქ ყველაფერი ისედაც ღელავს
და შენ უთუოდ დაიხრჩვები ღელვისაგან ზღვაში“.

ლექსს ამშვენებს უცნაური მინაწერი“ ისედაც თავისთვის უდედოდ უმიწოდ უსახლოდ“.

ოთარ ჭილაძე „მიწაზე მძიმე“ დედა აქაც შვილისათვის ყოვლისმქნელი და ყოვლისშემძლეა:

„დედა, მაპატიე ეს ერთი წამი,
ეს ერთი წამი სისუსტის თუ უმეცრებისა:
მეც ხომ შვილი ვარ,
ლეკვი,
ბარტყი,
ჭუპრი თუ კვერცხი...
მეც მოვინდომე უზრუნველად ჯდომა შენს ჩრდილში და დამავიწყდა, რომ ჩემს მეტი არ ჰყავს პატრონი კერიის მწარე, კვამლის სუნით გაუღენთილ კაბას“.

დედაზე უსასრულოდ შეიძლება წერა. და მაინც, ტარიელ ჭანტურიას ლექსით მინდა დავასრულო:

„დედა წვებოდა ყველაზე ადრე,
რომ მე ლოგინი მქონოდა თბილი,
ის ადრე მოკვდა, ვინ იცის ჩემთვის
ცივი სამარის გათბობაც სურდა.“

დღეგრძელობა დედებსაც და შვილებსაც!

მაია მელუავა

5 ☜ რიჟამაძეების ოჯახი 36 წლის შემდეგ

დედა ისევ დასაყრდენია, სადაც უნდა იყვნენ შვილები, თავს მშვიდად გრძნობენ, რადგან სახლში ოთხი შვილის დედა ისევ ფუსფუსებს, ყველაფერი თავის ადგილზეა.

შორენა რიჟამაძე—ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი, მთელი თავისი დრო და ენერგია ოჯახს მიუძღვნა, 44 წლის ასაკში ფარმაცევტობის სურვილიც აისრულა, სტუდენტი გახდა, რაც ძალიან ახარებს ოჯახს. შორენას არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს, რიჟამაძეების ამ მშვენიერ ოჯახზე დიდი ამაგი აქვს, ყველას ეიმედება ვინც იცნობს. შორენას უფროსი შვილი ლაშა ინტელექტუალური შოუს „წიგნების თაროს“ გამარჯვებულია, სტატიებს აქვეყნებდა საკმაოდ ცნობილ სპორტულ გვერდებზე, რაც მისი ჰობი იყო იმ ეტაპზე, ახლა კი წარმატებული იურისტია. მეორე შვილი მარიამი სკოლის მოსწავლეა, ძალიან უყვარს ქარგვა, ხატვა, წერს კიდეც, დეიდას, თეას ამსგავსებენ.

თეა რიჟამაძე—ბავშვობიდან უყვარდა წერა, ხატვა, დიზაინერობაზე ოცნებობდა, მაგრამ ჟურნალისტიკაზე მოეწყო. დაბრუნდა თერჯოლაში და გახდა ხელოვნების პედაგოგი. თეა უმადლის პედაგოგებს—ნარგიზ ცქიფურიშვილს, თამარ ღარიბაშვილს და მამას, რომელიც ყოველ საღამოს ამეცადინებდა ხელოვნების ისტორიაში, უხსნიდა მოსწავლის ფსიქოლოგიას, აძლევდა რჩევებს. დღეს კი თავი სხვა პროფესიაში ვერც წარმოუდგენია. თეას უსაზღვროდ უყვარს მოსწავლეები, საქმე და კიდევ სცენა, რომელსაც ხშირად ახმაურებს. ფილმების გადაღებაც „გაბედა“, ბოლო ზარებისთვის რამდენიმე ფილმი აქვს გადაღებული, უდიდეს მხარდაჭერას გრძნობს ამ დროს ყველასგან და ყველას მადლობას უხდის საჯაროდ. სიყვარულით, სიამაყითაც იხსენებს თავისი ცხოვრების განსაკუთრებით საინტერესო 15 წელს, როცა თეა ქალბატონ რუსუდან კოვზირიძის მიწვევით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი გახდა. ამ წლებთან აკავშირებს თეას ბევრი დაუვიწყარი მოგონება, შესძინა საუკეთესო მეგობრები და გამოცდილება შეჰმატა, მის ისედაც მდიდარ გამოცდილებას.

ეკატერინა რიჟამაძე—დამთავრებული აქვს პედაგოგიკის ფაკულტეტი, მაგრამ წლებია თერჯოლის სამხატვრო სკოლაში მუშაობს. უყვარს საქმე, რომელსაც ემსახურება და მთელ გულს და სულს დებს საქმეში. ეკატერინე ჩუმი, უპრეტენზიო ადამიანია, ძალიან უყვარს კულინარია, გატაცებულია სპორტით, ოჯახის წევრებზე განსაკუთრებულად მზრუნველია.

კონსტანტინე (კოტე) რიჟამაძე—კოტე ხატავს, გამორჩეულია მისი ხელოვნება და ბევრი თვლის, რომ იგი კარგი მხატვარია. კოტეს უყვარს ღმერთი და ყველაზე ხშირად ღმერთს ხატავს. უმეტეს წილად სახლშია, მას შეუძლია საათობით უკრავდეს მუსიკას, უსმენს გალობას, კლასიკურ მელოდიებს. ძალიან საინტერესო და თბილი ადამიანია კოტე, მგრძნობიარე. მას ძალიან, ყველაზე მეტადაც გაუჭირდა მამის—რომან როჟამაძის გარდაცვალება. ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ ვერც დაძლევდა ამ მწუხარებას, ამ მონატრებას, მერე ეს მონატრება ქვაში, ფურცელზე, ხეზე გადაიტანა, „მრავალნაირი მამა“ შექმნა, შეაგროვა მამის ნივთები, მისეული მუზეუმი შექმნა და შვებაც იპოვა. კოტე დიდი გულის ადამიანია, მას სიძულვილი არ შეუძლია.

აი, ასეთები არიან მანანა და რომან რიჟამაძეების შვილები. წარმატებულები, სიკეთის მკეთებლები, ოთხივემ მონახა თავი და ადგილი ცხოვრებაში.

ნათელი ადგას რომან რიჟამაძის სულს და ხარობს ოჯახის ბედნიერებით.

კოტე რიჟამაძე კი კვლავ მიართმევს გაზაფხულის მახარობელ პირველ ყვავილებს დედას, დებს, დისშვილს, ლამაზ დღესასწაულს მიულოცავს მათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

გულო ყიფშიძე 8 მარტს 85 წლის გახდებოდა...

8 მარტს ქალთა დღესასწაული და ამავე დროს დაბადების 85-ე წლისთავი უნდა მიელოცა ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს, ახლობლებს, მეგობრებსა და მეზობლებს. სამწუხაროდ, თებერვალი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. საყვარელმა ადამიანებმა იგი უამრავი ყვავილით, სინანულითა და ცრემლებით უკანასკნელ გზაზე გააცილეს.

ვეღარ შეეგება გულო ყიფშიძე თავის 85-ე გაზაფხულს, რომელიც ასე უყვარდა და უკეთესი მომავლის იმედად ესახებოდა.

გულო ყიფშიძე იყო ქალბატონი, რომელიც არ შეიძლებოდა გენახა, მითუმეტეს თუ მასთან ხანგრძლივი ნაცნობ-მეგობრობა გაკავშირებდა და მისი გულისხმიერება, სითბო და სიყვარული არ გეგრძნო და მის მიმართ იგივე გრძნობა არ გაგჩენოდა...

ქალბატონი გულო წლების განმავლობაში ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარების საქმეს. ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის ღირსეულ მუშაკს, საბავშვო ბაგა-ბაღების მეთოდისტს თერჯოლის საზოგადოებაში ერთ-ერთ საპატიო ადგილი ეკავა. მას იცნობდნენ როგორც პასუხისმგებლიან, მაღალ პროფესიონალ და საქმის ერთგულ ქალბატონს, რომელიც პატარებისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მომავლისადმი პასუხისმგებლობით ასრულებდა მუდამ თავის მოვალეობას.

სამაგალითო იყო მისი დამოკიდებულება კოლეგებისადმი, მშობლებისადმი, საზოგადოებისადმი. მან იცოდა როგორ დაეცვა სკოლამდელი აღზრდის სფეროსა და მშობლიური რაიონის ღირსება.

მუდამ ღიმილიანი, ტკბილმოუბარი, საუკეთესო მეუღლე, დედა, ბებია, რომელიც ბურჯად ედგა ოჯახს და ერთგულებითა და შრომისმოყვარეობით იხდიდა ქართველი ქალის მოვალეობას, ქვეყნის წინაშე, ასეთად დარჩება გულოს სახელი შთამომავლობას.

შეუსრულებელი 85, დედის დღე და 8 მარტი მივულოცოთ საყვარელ ქალბატონს იმიერში და ვთხოვოთ უფალს, დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მას, იქ სადაც მართალნი განისვენებენ...

მზია ცქიფურიშვილი

დეკორატიული ფილების თანამედროვე საწარმო თერჯოლაში

უფრო ზუსტად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირღელეში, ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ავტომაგისტრალის კმ-ზე, რამდენიმე დღეა სატესტო რეჟიმში მუშაობას შეუდგა დეკორატიული ფილების უახლესი გერმანული ტექნოლოგიებით და დანადგარებით აღჭურვილი საწარმო.

საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიებით პრაქტიკულად მთლიანად ავტომატურ რეჟიმში მუშაობას. საწყის ეტაპზე გამოშვებული პირველი პროდუქციით მოპირკეთდება საწარმოს მთელი ტერიტორია. უახლოეს პერიოდში კი მოხდება საწარმოს ოფიციალური გახსნა.

აქ თქვენ შეგიძლიათ დაუკვეთოთ ნებისმიერი ფერის დეკორატიული ფილები თქვენი ეზო-კარმიდამოს, სოფლის, ქალაქის, დასახლების თუ დაწესებულება-ორგანიზაციის ტერიტორიების კეთილმოსაწყობად. ტროტუარებისა და ავტომანქანების სადგომებისა და სავალი გაზონებისათვის, შენობებისა და ნაგებობების ფასადებისათვის.

საწარმო უახლოეს პერიოდში სამშენებლო ბლოკების გამოშვებასაც გეგმავს, რომელსაც ტრადიციულებზე ბევრად დიდი უპირატესობა ექნება, როგორც ხარისხში ისე სიმსუბუქეში.

დაწვრილებითი ინფორმაციებისათვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი რეკვიზიტებით:

თერჯოლა, სოფელი ნახშირღელე.

www. legi.ge

Insta: Legi-ltd

Email: info@legi.ge

ჭადრაკი

ტაისია ტყავაძემ ასაკობრივ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა

31 იანვარი—8 თებერვალი. ქ. ქუთაისში გაიმართა იმერეთის ჩემპიონატი ჭადრაკში 8, 10, 12 და 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა თერჯოლის სპორტული სკოლის მოსწავლემ ტაისია ტყავაძემ, მან 7 შესაძლებლობიდან აიღო 5 ქულა და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვა საქართველოს პარლამენტის წევრმა და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა ზაზა ლომინაძემ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტაისიამ აღნიშნულ ტურნირზე წარმატებით გამოსვლის გამო მოიპოვა საქართველოს ასაკობრივ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება.

ვულოცავთ ტაისიას და მის მწვრთნელს, ეროვნული ოსტატობის კანდიდატს ჭადრაკში, გია ჭუმბურიძეს, ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

„თერჯოლა“

„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“

4 თებერვალს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით საქართველოში წელს მე-11-ედ გაიმართა წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში...

ეს დღე აგრეთვე მოტივაციას აძლევს მშობლებს ხმამაღლა წაუკითხონ შვილებს სხვადასხვა ისტორია, მოთხრობა თუ ზღაპარი და შეაყვარონ წიგნის კითხვა.

მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის ტრადიციას წელსაც შეუერთდა თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა და შეიძლება ითქვას ძალზე ლამაზი და საინტერესო დღე გამოუვიდათ.

მთელი დღე მკითხველთა და წიგნის ხმამაღალი კითხვის მონაწილეთა მიმოსვლა არ წყდებოდა ბიბლიოთეკაში. მოდიოდნენ მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებიდან, სხვადასხვა დროს, ანუ, როცა ამის საშუალება ჰქონდა, ბიბლიოთეკის მკითხველები და მყუდრო, სასიამოვნო გარემოში კითხულობდნენ თავიანთი შერჩეული ავტორების შემოქმედებიდან სხვადასხვა მოთხრობებსა და ამონარიდებს...

პირველები, 11 საათისათვის, ბიბლიოთეკას ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლეები: ნინი ცინაძე, მარიამ სარდანაძე, ნინო კუბლაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ლიზი სარდანაძე, ლიზი ჯანგიანი კლასის ხელმძღვანელთან დარეჯან ჭანტურიძესთან ერთად ესტუმრნენ.

პირველ საათზე დღის ღონისძიებას კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“-ის მოსწავლეთა დიდი ჯგუფი, ანუ V-VI კლასი სრული შემადგენლობით, ხელმძღვანელ შორენა გიორგაძესთან და სკოლის დირექტორთან, აზა მემანიშვილთან ერთად შეუერთდა. მათთან ერთად იყვნენ მეშვიდეკლასელები: მარიამ ყიფიანი, მარიამ კოვზირიძე, ანასტასია აბულაძე და დაჩი გარმელია.

3 საათზე, მკითხველთა და მონაწილეთა ახალმა შემადგენლობამ დაიკავა სამკითხველო დარბაზის ლამაზი სივრცე.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი მიესალმა და საჯარო კითხვის მსოფლიო დღე მიულოცა მოსწავლეებს და შეკრებილ საზოგადოებას. ისაუბრა წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე და მადლობა გადაუხადა დღის თითოეულ მონაწილეს.

ამჯერად კითხვაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: გიორგი მემანიშვილი, ნია გიგაშვილი, თათია ბუცხრიკიძე და ლიზი ჯანელიძე—ახალთერჯოლის საჯარო სკოლიდან, ნიკოლოზ ხუსკივაძე—თერჯოლის №1 საჯარო სკოლიდან, ტასო მორალიშვილი, ბარბარე მაკარიძე, გვანცა მორალიშვილი, თერჯოლის №2 საჯარო სკოლიდან.

საჯარო ბიბლიოთეკაში ხმამაღალ კითხვას შეუერთდნენ აგრეთვე: ზვიად მექვაბიძე, პოეტი, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, შენგელი ცქიფურიშვილი, მკითხველი, დარეჯან კვატაია ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების წამყვანი ბიბლიოთეკარი, მარიამ ყვავაძე, ბიბლიოთეკარი ნაირა ნიკოლაძე, ბავშვთა ცენტრ „იმედის სხივის“ ხელმძღვანელი.

გაჟღერდა არა ერთი ლამაზი სტრიქონი როგორც ქართველ, ასევე საზღვარგარეთელ ავტორთა ნაწარმოებებიდან... შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“, ვაჟა ფშაველას „ხმელი წიფელი“, გალაკტიონის „თოვლი“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, გიორგი კეკელიძის „გურული დღიურები“, შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა.

ლექსი საკუთარი შემოქმედებიდან, აგრეთვე ნაწყვეტი ვაჟა ფშაველას „სტუმარ მასპინძლიდან“ და გალაკტიონის ლექსი ზვიად მექვაბიძემ წაიკითხა, ხოლო გალაკტიონის „თოვლი“ ნაირა ნიკოლაძემ, ორივე მათგანმა ზეპირად წაიკითხეს...

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე საჯარო ბიბლიოთეკაში ულამაზეს ლიტერატურულ დღედ გადაიქცა, დარბაზში რამდენჯერმე აპლოდისმენტებიც გაისმა მოწონების ნიშნად.

წიგნის საჯარო, ხმამაღალი კითხვა თერჯოლის მუნიციპალიტეტში არ იყო ერთჯერადი აქტივობა, არამედ მთელი კვირა გრძელდებოდა და მასში სულ უფრო მეტი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.

თითქმის ყველა საჯარო სკოლაში, სხვადასხვა კლასებში, ენთუზიაზმით და ინტერესით ისმენდნენ მეგობრების თუ პედაგოგების მიერ წაკითხულ შერჩეული ავტორების ნაწარმოებებიდან ამონარიდებს.

ხმამაღალი კითხვის კვირეული გაიმართა სკოლამდელ დაწესებულებებში პატარების საყვარელ ზღაპრებსა და მოთხრობებს, რომელსაც რიგ შემთხვევაში აღმზრდელები, რიგ შემთხვევაში მშობლები, ან ამ მიზნით სტუმრად მყოფი ადამიანები უკითხავდენ პატარებს.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ პატარებსა და მოსწავლეებს წიგნის სიყვარულისა და მის მიმართ ინტერესის გაღვივებას ემსახურებოდა.

მზია ცქიფურიშვილი

პედაგოგთა რაიონულ კონფერენციაზე თემები წარმოადგინეს

4 ☞

არაფორმალური განათლება—საკლუბო მუშაობა (ჯგუფის ხელმძღვანელი მაია გოგბერაშვილი).

რაია მაჩაიძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, „კარცერლუქსის“ ეფექტი.

მაკა ჭანტურიძე, ახალთერჯოლის საჯარო სკოლა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა-ეკოკლუბის გამოცდილება.

ანა რიჟამაძე, ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, მოზარდებში სამოქალაქო უნარ-ჩვევებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა.

თამარ აფრიდონიძე, კვახჭირის საჯარო სკოლა, წიგნის კლუბი „ვკითხულობთ ქართულს“.

თეონა ერგემლიძე, კვახჭირის საჯარო სკოლა, ეკოკლუბი „ნექტონები“.

მაია მელუავა, ნახშირღელის საჯარო სკოლა, „იქ, სადაც სიტყვები ცისფერ გვირგვინებს ატარებენ“

ნანა ბანძელაძე, ჩხარის პირველი საჯარო სკოლა, ეკოკლუბის საქმიანობის როლი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

ნინო გვენეტაძე, შპს სკოლა „მზეკაბანი 2007“, გამოყენებითი ფიზიკა ჩვენს ცხოვრებაში.

ანა რობაქიძე, გოგნის საჯარო სკოლა, არაფორმალური განათლება-ცოდნის ტრანსფერი.

თინათინ ყუფარაძე, კვახჭირის საჯარო სკოლა, „eTwinning“-როგორც კოლაბორაციის საუკეთესო მაგალითი. თამთა მამრიკიშვილი, კვახჭირის საჯარო სკოლა, სასკოლო ბანაკი „გოგრიკოები“.

ია კვატაია, სიქთარვის საჯარო სკოლა, „ბანაკი, როგორც თვითშემეცნების სივრცე“.

მანუჩარ ფანჩულიძე, ძევრის საჯარო სკოლა, „გზა წარმატებისკენ“.

ზურაბ ბარბაქაძე, შპს სკოლა „მზეკაბანი 2007“, არაფორმალური განათლების როლი სასკოლო ცხოვრებაში.

მაია გოგბერაშვილი, რუფოთის საჯარო სკოლა, ლიტერატურული კლუბი „წიგნიერი“ წერა-კითხვის ლაბორატორია.

პროექტის მართვა (ჯგუფის ხელმძღვანელი ნანა გოგბერაშვილი, რესურსცენტრი).

თამარ შანიძე, ჭოგნარის საჯარო სკოლა, გერმანული ენის ფარგლებში რაიონის სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

ხათუნა რობაქიძე, გოგნის საჯარო სკოლა, პროექტული სწავლება საინტერესო და სახალისო.

თეონა გიორგაძე, ეწრის საჯარო სკოლა, „ერთი ნივთის ისტორია“.

სოფიო ცეცხლაძე, ეწრის საჯარო სკოლა, „ჩემი საქართველო აქ არის“.

მადონა ჭანტურიძე, ზედა საზანოს საჯარო სკოლა, „რიცხვების უკან დამალული ლეგენდები“.

ელისო ჯანელიძე, ირინა აბულაძე, მარეხი ლიკლიკაძე, ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, „გმირი და ტოლერანტი თანასოფლელები“.

ლია ჩხიკვაძე, კვახჭირის საჯარო სკოლა, სასკოლო პროექტები.

თეონა წერეთელი და ნინო ამბროლაძე, ნაგარევის საჯარო სკოლა, „ამინდის შესწავლა ინტერდისციპლინარული სასკოლო პროექტის ფარგლებში“.

შორენა კახიძე, სიქთარვის საჯარო სკოლა, „იდეიდან შედეგამდე“.

მაია ცერცვაძე, ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა, „მოსწავლე კვლევაში—როგორ სრულყოფს პროექტი სწავლას“.

ნათია აბულაძე, ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა, „სასკოლო პროექტების მართვა“.

თეა რიჟამაძე, ღვანკითის საჯარო სკოლა, „თანამედროვე ქართველი ავტორები“.

ქეთევან კირკიტაძე, „მზეკაბანი 2007“, პროექტებით სწავლების ეფექტურობა საბაზო საფეხურზე.

ლონდა ტოფაძე, „მზეკაბანი 2007“, პროექტებით სწავლების ეფექტურობა დაწყებით საფეხურზე.

ნატო კვეტენაძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, „საღვთო შური“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით.

ია ვარდოსანიძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, პროექტების გამოყენება „თერჯოლა-მომავლის ენერგოეფექტური ქალაქი“.

სსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგია (ჯგუფის ხელმძღვანელი მაკა მიშველიძე)

მაკა მიშველიძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, ერთობლივი ნაბიჯები წარმატებისაკენ.

ხათუნა ჩუბინიძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, უსინათლო მოსწავლის ბრაილის შრიფტით სწავლების მეთოდები და აქტივობები.

მარი შარაბიძე, გოგნის საჯარო სკოლა, ქცევითი სირთულეების მართვა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას.

სოფიკო კობახიძე, გოდოგნის საჯარო სკოლა, დიფერენცირებული სწავლების, თამაშის თერაპიისა და ვიზუალური კომუნიკაციის ინტეგრაცია.

ღელა ჯანელიძე, ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, ინკლუზიური განათლება-ემოციური კომპეტენციის ხელშეწყობა.

მირანდა შუბითიძე, თუზის საჯარო სკოლა, „თეორიიდან პრაქტიკამდე: სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის რეალური ისტორია“.

მადონა ლაღაძე, კვახჭირის საჯარო სკოლა, „ჩემი წარმატებული პრაქტიკა“.

მირანდა კუპატაძე, რუფოთის საჯარო სკოლა, „ჩემი წარმატებული პრაქტიკა“.

შორენა ნიკოლაძე, სიქთარვის საჯარო სკოლა, „სკოლა ყველას ხმას ისმენს“.

ია ცერცვაძე, ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა, „დისლექსია და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის პრაქტიკული სტრატეგიები“.

თეა წაქაძე, ღვანკითის საჯარო სკოლა, სწავლების ინდივიდუალიზაცია დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლესთან.

თამარ გვენეტაძე, ჭოგნარის საჯარო სკოლა, „სპეციალური საჭიროება-გზა გამარჯვებამდე“.

ლალი კაპანაძე, ჩხარის №1 საჯარო სკოლა, „მიმიღე, მასწავლე, შემიყვარე“.

ეკატერინე ბაზაძე, ჩხარის №2 საჯარო სკოლა, „სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპები საჯარო სკოლაში“.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872